ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №247295

ნომერი: AR162020

თარიღი : 27.06.2012

გაცემის თარიღი : 04.07.2012

გაცნობის თარიღი : 09.07.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შეშელიძე , გაზის გასამართი სადგურის მოპირდაპირედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მარიამი უგრეხელიძე პ/ნ 01027057615
- თბილისი ვარკეთილი 3 III მ/რ კორ. 333 ბ. 4

ორგანიზაცია:
- სს "ქართული კრედიტი" კოდი: 206238800

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი განცხადება და იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"-ს გრაფაში უნდა ატვირთოთ არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, გადაღებული შეშელიძის ქუჩის მხრიდან, სხვადასხვა ხედის ფიქსაციით და "ფოტომონტაჟი"-ს გრაფაში არსებული სიტუაციის ფოტოსურათებზე დამუშავებული საპროექტო ფოტომონტაჟი, სარეკლამო აბრის გაბარიტული ზომების დატანით.

ამასთანავე გაითვალისწინეთ, რომ სერვიტუტზე დაუშვებელია რაიმე სახის ობიექტის განთავსება (მათ შორის სარეკლამო აბრისაც).

მხოლოდ ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ შესაძლებელი იქნება საკითხის სრულფასოვნად განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.